

1.159.9316.6

წინარწმენის საზომი ინსტრუმენტის ქართულენოვანი ვერსიის შემუშავება

ირინა ვარდანაშვილი¹, ანა მაყაშვილი², ნინო ჯავახიშვილი³, ნინო ბუწაშვილი⁴

^{1, 2, 3, 4}დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
თბილისი 0162, საქართველო

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია წინარწმენის გავრცელებული საზომის, ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალის ვალიდაციის შედეგები ორი კვლევის საფუძველზე. სკალის მოდიფიცირებული ვარიანტი ჩატარდა ორჯერ, ორ სხვადასხვა შერჩევაზე, შესაბამისად, 611 და 528 ქართველ სტუდენტზე თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან. პირველ კვლევაში მხოლოდ ერთი, გამოგონილი გარე ჯგუფისადმი დამოკიდებულება შევისწავლეთ, ხოლო მეორეში - 4 ჯგუფისადმი, თითოეულში ორი წარმომადგენლით. მონაცემები დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით დავამუშავეთ, რომელმაც სკალის რთული სტრუქტურა გამოავლინა. უმეტეს შემთხვევაში, სკალა ორ ფაქტორად იყოფა, რომლებსაც მეტად სენსიტიური და ნაკლებად სენსიტიური დისტანციები ვუწოდეთ. სოციალური დისტანციის სკალის გარეგანი ვალიდაცია ეთნოცენტრიზმის კითხვართან ზომიერმა კორელაციამ დაადასტურა. მეორე კვლევაში დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდა ამ ინსტრუმენტის შესაძლებლობების შესახებ. რადგან ამ კვლევაში დისტანციები შესაფასებელი ჯგუფების მიხედვითაც დაიყო, აქ 10 ფაქტორი გამოვლინდა. ორივე კვლევაში გვაჩვენა, რომ სკალის ფაქტორული სტრუქტურა უმცირესობების სხვადასხვა ჯგუფის მიმართ განსხვავებულია და ერთნაირი მიდგომის გამოყენება ყველა ჯგუფისადმი არ არის მიზანშეწონილი.

საკვანძო სიტყვები: წინარწმენა, სოციალური დისტანციის სკალა, დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი, ფაქტორული სტრუქტურა

წინარწმენა სხვადასხვა ჯგუფისადმი უარყოფითი დამოკიდებულებებია, რომელიც მცდარ/არასრულყოფილ ინფორმაციას ეფუძნება [1]. ეს კონსტრუქტი ცენტრალურ თემას წარმოდგენს სოციალურ ფსიქოლოგიაში. წინარწმენას სამმაგი ბუნება აქვს, ის შედგება კოგნიტური, ემოციური და ქცევითი ნაწილებისაგან [1]. ამ საკითხის საფუძვლიან კვლევას ამერიკელმა სოციალურმა ფსიქოლოგმა გორდონ ოლპორტმა ჩაუყარა სათავე წიგნით "წინარწმენის ბუნება" 1954 წელს. მას შემდეგ არაერთმა სოციალურმა ფსიქოლოგმა სცადა მისი არსის, მიზეზების, შედეგების შესწავლა და დამლევის გზების დასახვა [2; 3; 4; 1].

მეოცე საუკუნის ბოლოსათვის დაგროვებული დიდძალი ლიტერატურის და, შესაბამისად, მიგნებების სისტემატიზაცია წარმოადგინა ამერიკელმა სოციალურმა ფსიქოლოგმა ჯონ დოვიდიომ, როცა წინარწმენის კვლევა ისტორიულ ჭრილში

განიხილა და მისი სამი ტალღა გამოყო. პირველი ტალღა 1920-იდან 1950-მდე გრძელდებოდა და ფოკუსირებული იყო წინარწმენის ბუნების შესწავლაზე. ჩვეულებრივ, უცნობი ფენომენის შესწავლა მისი არსის გარკვევიდან იწყება. ამ პერიოდში, მკვლევრები იზიარებდნენ შეხედულებას, რომ წინარწმენა დაავადებას ჰგავს და ის მხოლოდ "ავადმყოფ" ადამიანებს ახასიათებთ. მეორე ტალღაში მეცნიერებმა უარყვეს მანამდე არსებული წარმოდგენა წინარწმენაზე. ამ პერიოდში წინარწმენის ბუნებაზე მოპოვებულმა მონაცემებმა მკვლევრებს დაანახა, რომ ეს, იმდროინდელი ტერმინები რომ ვიხმაროთ, ნორმალური მოვლენაა და ნებისმიერ ჩვენგანს ახასიათებს. ამავე დროს, გაფართოვდა ცოდნა ამ ფენომენის შესახებ და გაირკვა, რომ მას მრავალი სახე აქვს, მაგალითად, არსებობს წინარწმენა არა მხოლოდ ადამიანების, არამედ ცხოველების, საკვების მიმართაც [5; 1]. ხოლო, მესამე ტალღისას გაირკვა, რომ წინარწმენას აქვს როგორც ღია, დაუფარავი, ისე ფარული ფორმები. ეს უკანასკნელი სიტუაციურმა ცვლილებებმა გამოიწვია. რადგან აშშ-ში და დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში წინარწმენის გამოვლინებებს საზოგადოება უარყოფითად ხვდება, ცალკეული ადამიანები ერიდებიან მის აშკარა გამოხატვას საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის, ან კარიერული პრობლემების თავიდან აცილების გამო [5]. ფართოდაა ცნობილი მაგალითები აშშ-ს ისტორიიდან იმის შესახებ, როგორ დაკარგეს კანდიდატებმა ხმები არჩევნებში რასისტული განცხადებების გამო. მაგალითად, 2006 წელს პრესამ მკაცრად გააკრიტიკა რესპუბლიკელი სენატორობის კანდიდატი ჯორჯ ალენი, რადგან მან ინდური წარმომავლობის ადამიანს "მაკაკა" უწოდა. ითვლება, რომ ალენის არჩევნებში დამარცხების მიზეზი, სწორედ, ეს გახდა [1]. საზოგადოების გაკიცხვა დაიმსახურა ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა მელ გიბსონმა, როცა ებრაელებს ბრალი დასდო ომების წამოწყებაში. მსგავსი ისტორია მოხდა არცთუ ისე დიდი ხნის წინ საფრანგეთში, სადაც დიზაინერი ჯონ გალიანო Dior-ის სახლის შემოქმედებითი დირექტორის თანამდებობიდან დაითხოვეს ებრაელი წყვილისადმი მიყენებული შერაცხყოფისათვის [6; 1]. ამ სიტუაციური ცვლილებების შედეგად, საზოგადოების წინარწმენით შეპყრობილი ნაწილი თავს იკავებს მისი გამომჟღავნებისაგან. წინარწმენის ამ ფორმებს მესამე ტალღის მკვლევრებმა ფარული რასიზმი, ავერსიული რასიზმი უწოდეს [5].

მეორე ტალღის დროს დაიწყო, ასევე, წინარწმენის ფენომენის ახსნის მცდელობები. ეს გულისხმობდა არა მხოლოდ წინარწმენის აღწერას, არამედ, მისი, როგორც პიროვნული ცვლადის სხვა პიროვნულ თუ სიტუაციურ ცვლადებთან კავშირის და მიმართების ძიებას. ამჯერად უკვე დიდ ბრიტანეთში შემუშავდა მაკრო დონის თეორია, რომელიც სოციალური იდენტობის თეორიის სახელითაა ცნობილი [7; 8; 9]. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანებს აქვთ არა მხოლოდ პიროვნული, არამედ სოციალური იდენტობაც და ახასიათებთ კატეგორიზაციის თვისება, რომელიც სოციალურ ფსიქოლოგიაში კოგნიტური ფსიქოლოგიიდან შემოვიდა. კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ დაადგინა, რომ ადამიანებს კატეგორიზების, ანუ, საგნების და მოვლენების დაჯგუფების მიდრეკილება აქვთ. [10; 11]. შესაბამისად, ადამიანები საკუთარ თავს და ერთმანეთს ამა თუ იმ ჯგუფს მიაკუთვნებენ. ამაზე დაყრდნობით, სოციალური იდენტობის თეორიაში გამოიყო ორი მსხვილი ჯგუფი: შიდა და გარე ჯგუფები. შიდა ის ჯგუფია, რომელსაც ესა თუ ის ინდივიდი მიეკუთვნება, ხოლო გარე – რომელსაც ის არ წარმოადგენს. ამავე თეორიაში წარმოიშვა ტერმინი შიდა ჯგუფური ფავორიტიზმი, რაც მიანიშნებდა იმას, რომ ინდივიდები საკუთარ ჯგუფს ანიჭებენ უპირატესობას სხვა ჯგუფებთან შედარებით. ტაიფელმა და ტერნერმა ეს მახვილგონივრული ექსპერიმენტების სერიით აჩვენეს. მათ ცდის პირები შემთხვევითად გადაანაწილეს ორ

ეკვივალენტურ ჯგუფში, შემდეგ კი ეს ჯგუფები ერთმანეთისგან გამოყვეს იმით, რომ ერთსა და იმავე განზომილებაზე ორი განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭეს. მაგალითად, ერთ ჯგუფს მოსწონს მხატვარ კანდინსკის ნამუშევრები, ხოლო მეორე ჯგუფს – მხატვარ მიროსი. ექსპერიმენტის მიხედვით, არაა აუცილებელი, ჯგუფის წევრები იცნობდნენ ამ მხატვრების შემოქმედებას, ან, საერთოდ, გაგონილი ჰქონდეთ მათ შესახებ. მათ უბრალოდ უნდა მიიღონ ეს ფაქტი, როგორც მოცემულობა. აღმოჩნდა, რომ ასეთი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო სხვაობის პირობებშიც კი გამოვლინდა შიდა ჯგუფური ფავორტიზმი, რასაც, თეორიის ავტორებმა მინიმალური ჯგუფების პარადგმა უწოდეს [9]. სოციალური იდენტობის თეორია დღესაც ინარჩუნებს თავის ამხსნელ ღირებულებას და ამჟამად მიმდინარე მრავალი კვლევა ისევ მის მიერ შემოთავაზებულ თეორიულ ჩარჩოს ეყრდნობა, თუმცა, გაჩნდა სხვა, მაკრო, მეზო და მიკრო დონის თეორიები, რომელთა განხილვა წინამდებარე ნაშრომის ამოცანას სცდება.

ამავე პერიოდში, მეორე ტალღის დროს, დაისახა წინარწმენასთან ბრძოლის გზები, რასაც მუზაფერ შერიფის ე. წ. ბანაკის ექსპერიმენტმა დაუდო სათავე. კვლევაში ავტორმა ჯერ ერთმანეთის მიმართ გამოიწვია აგრესია ორ, შემთხვევითად შექმნილ მოზარდი ბიჭების ჯგუფში, რომლებიც ზაფხულს ბანაკში ატარებდნენ, ხოლო შემდეგ, მათი "შერიგება" მოახერხა იმით, რომ საერთო ამოცანა დაუსახა, რომლის გადაჭრასაც ისინი დამოუკიდებლად ვერ მოახერხებდნენ [3]. შერიფის გამოყენებულმა მიდგომამ გაამართლა და დღესაც, თითქმის ასი წლის შემდეგ, წინარწმენის დაძლევის უფრო ეფექტური გზები, არსებითად, არ შემუშავებულა. ამავე დროს, ეს მიდგომა გავრცელდა, დაიხვეწა და არსებობს მისი თანამედროვე ფორმები, რომლებსაც, ძირითადად, ტრენინგების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების სახით, სკოლამდელი და ადრეული სასკოლო ასაკის ბავშვებთან იყენებენ წარმატებული შედეგებით [12; 1]. ეს მიდგომა, ზოგადად, კონტაქტის ჰიპოთეზის სახითაა ცნობილი, რაც გულისხმობს, რომ სხვა ჯგუფისადმი არსებული უარყოფითი დამოკიდებულება უკეთესობისკენ შეიცვლება, თუ ამ ჯგუფის წარმომადგენლებს შორის გაჩნდება კონტაქტი [1; 13; 14]

კვლევების მესამე ტალღა აგრძელებს წინარწმენის არსის წვდომას მისი უკვე ცნობილი და ახალი პრედიქტორების (მრავლობითი რეგრესიის გამოყენებით) შესწავლით, გაჩნდა დახვეწილი მოდელები, რაც შესაძლებელი გახდა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების და სტატისტიკური დამუშავების გზების სრულყოფის კვალდაკვალ. ეს მოდელები ერთდროულად რამდენიმე ცვლადს განიხილავს წინარწმენის პრედიქტორად და მათ შესაბამის წვლილს არკვევს, ასევე, მათ შორის მიმართებას. ასე გაჩნდა მედიაციური მოდერაციის, ან მოდერაციული მედიაციის და სხვა მსგავსი ტიპის მოდელები [15; 16]. მესამე ტალღა ასევე ფოკუსირებულია წინარწმენის ფარული ფორმების გამოვლენაზე. რამდენადაც სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი იკავებს თავს მისი ღია სახით გამოძვლავნებისაგან, საჭირო გახდა ისეთი საზომების შემუშავება, რომლებიც მოახერხებს ამ ფარული ფორმების გამოვლენას. ამ პერიოდში შემუშავდა რიგი საზომი ინსტრუმენტებისა, რომლებიც, ძირითადად, ქვეზღერბლოვან აღქმას უკავშირდება და ე. წ. "ტყუილის დეტექტორის" პრინციპს იყენებს. ამავე დროს, წინარწმენის ღია ფორმების გასაზომი ინსტრუმენტები კვლავ აქტიურად გამოიყენება. კვლევები აჩვენებს, რომ ორივე ტიპის საზომს დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები აქვს, არცერთი არაა ცალსახად უკეთესი მეორეზე და მათი გამოყენება კონტექსტის გათვალისწინებით უნდა მოხდეს [17; 18].

წინარწმენას ქართველი ფსიქოლოგებიც იკვლევენ და მის გასაზომად ხშირად იყენებენ ამერიკელი სოციოლოგის, ემორი ბოგარდუსის მიერ შემუშავებულ

სოციალური დისტანციების საზომ ინსტრუმენტს, რომელსაც მალე 100 წელი შეუსრულდება [19; 20; 21; 23; 24; 25]. ბუნებრივია, ამჟამად, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, საზომის მოდიფიცირებული ვერსიები გამოიყენება, თუმცა, მისი ძირითადი პრინციპი და სტრუქტურა უცვლელი რჩება. რაც მაღალია სოციალური დისტანციის ქულები, მით უფრო შორს ათავსებს რესპონდენტი გარე ჯგუფის წარმომადგენლებს, რაც წინარწმენის ქცევითი ასპექტის გამოვლინებად ითვლება.

ბოგარდუსი ამ კითხვარს ამერიკელი მოსახლეობის იმიგრანტების მიმართ დამოკიდებულებების გასაზომად იყენებდა (Bogardus, 1925, 1929, 1933, 1938, 1940, 1958). მას განახლებული და სახეცვლილი ფორმით ამჟამადაც ფართოდ იყენებენ [13; 26; 27; 28]. ითვლება, რომ სოციალური დისტანციის სკალა წინარწმენის დაუფარავ გამოვლინებებს ზომავს [29; 12]. საქართველოში ჩატარებული ბოლოდროინდელი ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი აზრის კვლევები მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხრიდან წინარწმენის დაუფარავად გამოხატვაზე მიუთითებს. ამიტომ, სოციალური დისტანციის სკალა საქართველოში წინარწმენის შესაბამის საზომად შეიძლება ჩავთვალოთ [20; 21; 22; 23; 24; 25].

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ქართველ მეცნიერებს მოუწიათ მსჯელობა, ინგლისურენოვანი ტერმინის ქართული შესატყვისია. ქართულენოვან ლიტერატურაში ვხვდებით მის სამ ვერსიას: ცრურწმენა [11], წინასწარგანწყობა [1] და წინარწმენა [21]. ჩვენ, ამ სტატიის ავტორები, ბოლო ვერსიას ვემხრობით და, შესაბამისად, მას ვიყენებთ კიდევ. ეს არჩევანი ამ საკითხის კვლევის მრავალწლიანი გამოცდილების და დიდძალი ლიტერატურის დამუშავების შედეგად გავაკეთეთ. ტერმინი "ცრურწმენა" ქართულ ენაში რელიგიურ/რიტუალურ კონოტაციას ატარებს, რაც ზედმეტ დატვირთვას სძენს ტერმინს და მისი არსიდან გვამორებს. მეორე ვარიანტი – "წინასწარგანწყობა" ჩვენს არაერთ კოლეგას დ. უზნადის განწობის თეორიას ახსენებს და სხვა მიმართულებით მიჰყავს, რაც სცდება ტერმინის რეალურ არსს. ამიტომ, ავირჩიეთ მესამე ვარიანტი – "წინარწმენა", მით უფრო, რომ ინგლისურენოვანი ტერმინი, *prejudice*, ლათინური *praejudicium*-იდან მოდის, რაც "წინასწარ განსჯას", "წინასწარ მსჯელობას" ნიშნავს და მეტი აქვს საერთო „რწმენასთან“, როგორც მოსაზრებასთან, შეხედულებასთან, ვიდრე, მაგალითად „განწყობას.“

წინამდებარე კვლევის წვლილი ამ საკითხის შესწავლაში ისაა, რომ ის ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალის შესახებ ახალ ცოდნას გვაწვდის, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც ქართველი, ისე, ნებისმიერი ქვეყნის მკვლევრისათვის, ვინც ამ ინსტრუმენტის გამოყენებას დაისახავს მიზნად. ამავე დროს, ნაშრომში ამ ცნების ქართულენოვანი შესატყვისის შემუშავების ისტორია და ამჟამინდელი მდგომარეობაა გადმოცემული, რაც ქართველ მკვლევრებს გამოადგებათ.

შესაბამისად, მოცემული კვლევის მიზანი სოციალური დისტანციის საზომის ქართულენოვანი ვერსიის შემუშავებაა, რაც მის ვალიდაციას გულისხმობს. ვალიდაცია, თავის მხრივ, რამდენიმე საფეხურისაგან შემდგარი პროცესია: არსებული უცხოენოვანი ინსტრუმენტის თარგმნა, უკუთარგმნა, რედაქტირება, პილოტური შემოწმება, საბოლოო ქართულენოვანი ვერსიის შემუშავება და მისი ფაქტორული სტრუქტურის შემოწმება; შემდგომ, მისი გარეგანი ვალიდაცია, ანუ, მისი მიმართებების ნახვა სხვა მსგავს საზომებთან, ან/და კონსტრუქტებთან [30; 31; 32].

სწორედ, ეს ეტაპები გაიარა ჩვენ მიერ გამოყენებულმა სოციალური დისტანციის საზომმა. დამატებით, როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენ ამ ინსტრუმენტის მოდიფიკაცია

გავაკეთეთ – საჭიროებისამებრ ამოვიღეთ და დავამატეთ რამდენიმე დებულება, რამაც, შესაბამისი სტატისტიკური ანალიზის შედეგად, დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა.

მეთოდი

კვლევა ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველ ეტაპზე განხორციელდა ინსტრუმენტის უკვე არსებული, თარგმნილი ვერსიის რედაქტირება და მოდიფიცირება. ამ ეტაპზე კვლევას ახორციელებდნენ ამ სტატიის ავტორები, ისევე, როგორც მოწვეული ექსპერტები. მეორე ეტაპზე შეგროვდა მონაცემები კითხვარის ფაქტორული სტრუქტურის შემოწმების მიზნით, ასევე, დადგინდა მისი მიმართება ეთნოცენტრიზმის საზომ კითხვართან.

შერჩევა

პირველი ეტაპისათვის საჭირო იყო ექსპერტული დახმარება, რაც განხორციელდა ფოკუს-ჯგუფური შეხვედრების მეშვეობით. ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი ამ სფეროს ექსპერტებთან – ფსიქოლოგებთან, სოციოლოგებთან, პოლიტიკის მეცნიერების წარმომადგენლებთან. ჯგუფში -სულ 14 ექსპერტი მონაწილეობდა.

მეორე ეტაპზე მონაცემები შეგროვდა ორჯერ, სხვადასხვა შერჩევაზე, შედარებით ფართომასშტაბიანი კვლევების ფარგლებში, რომლებსაც სხვა ამოცანებიც აქვს დასახული.

- ✓ პირველი კვლევის შერჩევა შედგებოდა 611 სტუდენტისაგან თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. მათი საშუალო ასაკი იყო 20.37 (SD=4.9). მათ შორის იყო 166 (28%) მამაკაცი და 423 (72%) – ქალი.
- ✓ მეორე კვლევის შერჩევა შედგებოდა 528 სტუდენტისაგან თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. მათი საშუალო ასაკი იყო 21.50 (SD=1.9). მათ შორის იყო 140 (26%) მამაკაცი და 388 (74%) - ქალი.

ინსტრუმენტი

წინარწმენის/სოციალური დისტანციის საზომი კითხვარი ბოგარდუსის (1925) სოციალური დისტანციის სკალის (Social Distance Scale) განახლებული ვერსიაა. მასში, მსგავსად ორიგინალისა, წარმოდგენილია სხვადასხვა სოციალური დისტანცია:

1. დავქორწინდებოდი,
2. მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად,
3. დავუმეგობრდებოდი,
4. მივიღებდი სამსახურში ჩემს უფროსად,
5. მივიღებდი მეზობლად
6. საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი,
7. მივიღებდი ნაცნობად,
8. ქვეყანაში სტუმრად მივიღებდი.

ორიგინალი კითხვარი ოდნავ განსხვავებულად ფორმულირებულ კუმულაციური (გატმანის) სკალის დებულებებს მოიცავს („დავქორწინდებოდი“, „დავუმეგობრდებოდი“, „მივიღებდი ჩემს ქუჩაზე მეზობლად“, „ვიმუშავებდი მასთან ერთად ერთ სამსახურში“, „მივიღებდი მოქალაქედ ჩემს ქვეყანაში“, „მივიღებდი მხოლოდ სტუმრად ჩემს ქვეყანაში“, „ჩემი ქვეყნიდან გავაძევი“) და მონაწილეებმა მხოლოდ ერთი დებულება უნდა მონიშნონ. ჩვენს შემთხვევაში კი, გარდა იმისა, რომ დებულებების ფორმულირება შეცვალეთ და ზოგი დებულება დავამატეთ, გამოყენებული იყო ლიკერტის 5-ქულიანი სკალა, სადაც 1 სრულ დათანხმებას აღნიშნავდა, ხოლო 5 – სრულ არ-დათანხმებას. ამდენად, მაღალი ქულები წინარწმენის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. ამასთან, მონაწილეებს ყველა დებულებაზე უნდა გაეცათ პასუხი.

სოციალური დისტანციის საზომი კითხვარი ორივე შერჩევას ჩაუტარდა, მათ შორის იყო ორი სხვაობა: პირველ შერჩევაში ამ სკალის კითხვებს ვსვამდით გამოგონილი ჯგუფის, აბირიელების შესახებ, ხოლო მეორე შემთხვევაში – 4 ჯგუფის 2-2 წარმომადგენელი ქვეჯგუფის შესახებ. ესენია: რელიგიური უმცირესობები – კათოლიკე, მუსლიმი; ეთნიკური უმცირესობები – სომეხი, ბერძენი; სექსუალური უმცირესობები – გეი, ლესბოსელი და შშმ პირები – ეტლზე მიჯაჭვული და შიზოფრენიით დაავადებული ადამიანები. მეორე შერჩევაში არ გამოგვიყენებია დებულება "ვიქორწინებდი", რადგან შესაფასებელ ჯგუფებს შორის იყო ჰომოსექსუალების ჯგუფი.

პირველი კვლევის მონაწილეებმა ეთნოცენტრიზმის კითხვარიც შეავსეს [33], რომელიც 22 დებულებისგან შედგება, მაგ: „განსხვავებულ ადამიანებს არ ვენდობი“. ეს დებულებები ცდის პირებს ხუთქულიან ლიკერტის სკალაზე უნდა შეეფასებინათ, სადაც 1 შეესაბამება დებულებას – "საერთოდ არ ვეთანხმები", ხოლო 5 – დებულებას "სრულიად ვეთანხმები". ამ სკალის ავტორები გვირჩევენ, რომ უარყოფითად და დადებითად ფორმულირებული დებულებების დასაბალანსებლად შექმნილი შვიდი დებულება მონაცემების დამუშავებისას უნდა ამოვიღოთ. დარჩენილი 15-დან სამი დებულება რევერსიულადაა კოდირებული.

შედეგები

კვლევა პირველი

სოციალური დისტანციის სკალის ფაქტორული ანალიზი Mplus-ში, დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის [34] გამოყენებით გავაკეთეთ. რვავე კითხვის ერთ კონსტრუქტზე განთავსების შემთხვევაში მოდელმა არ მოგვცა მორგების დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები.

საბოლოოდ, მორგების დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები მივიღეთ ორფაქტორიანი სტრუქტურის შემთხვევაში: $\chi^2(14, 589)=20.38$, $p=.119$, $CFI=.997$, $TLI=.993$, $RMSEA=.027$, $SRMR=.018$. შედეგად, სკალა ორ ფაქტორად გაიყო.

პირველ ფაქტორში შევიდა სამი დებულება:

- ✓ დავქორწინდებოდი,
- ✓ მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად,

- ✓ მივიღებდი სამსახურში ჩემს უფროსად.

მეორე ფაქტორში დარჩენილი ხუთი დებულება შევიდა:

- ✓ დავუმეგობრდებოდი,
- ✓ მივიღებდი მეზობლად,
- ✓ საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი,
- ✓ მივიღებდი ნაცნობად,
- ✓ ქვეყანაში სტუმრად მივიღებდი.

სოციალური დისტანციის სკალაზე მიღებულ საშუალო ქულებზე დაყრდნობით, ამ ფაქტორებს ჩვენ მეტად და ნაკლებად სენსიტიური ფაქტორები ვუწოდეთ. ცდის პირებმა გამოავლინეს შედარებით ახლო სოციალური დისტანცია ნაკლებად სენსიტიური დებულებებისადმი და შორი სოციალური დისტანცია მეტად სენსიტიური დებულებებისადმი. კრონბახის ალფა ორივე ფაქტორისათვის დამაკმაყოფილებელი იყო: პირველი ქვესკალისათვის $-.829$, ხოლო მეორე ქვესკალისათვის $-.879$.

კორელაცია სოციალური დისტანციის ქვესკალებსა და ეთნოცენტრიზმის სკალის ქულებს შორის ზომიერად დადებითი აღმოჩნდა (იხ. ცხრილი #1).

ცხრილი 1. წინარწმენის ორ ფაქტორსა და ეთნოცენტრიზმს შორის კორელაციები და სამი სკალის საშუალო მაჩვენებლები

საზომები	1	2	3	df	M	SD
1. მეტად სენსიტიური წინარწმენა	—	.681**	.445**	587	3.244	1.030
2. ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა	.681**	—	.453**	587	1.988	.824
3. ეთნოცენტრიზმი	.445**	.453	—	587	30.34	7.677

შენიშვნა. ყველა კორელაცია მნიშვნელოვანია ალფას $.000$ დონეზე.

შესაბამისად, ეთნოცენტრიზმთან კორელაცია მიუთითებს, რომ სოციალური დისტანციის საზომი მსგავს, თუმცა, სხვა ცვლადს ზომავს. მისი გარეგანი ვალიდობა დადასტურდა და შეიძლება ითქვას, რომ ორი ქვე-ფაქტორისგან შემდგარი სოციალური დისტანციის სკალა წინარწმენის კარგი საზომია.

კვლევა მეორე

დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის პროცესი ამ კვლევაში ბევრად უფრო რთულად წარიმართა იმის გამო, რომ რესპონდენტებმა დამოკიდებულებები გამოხატეს 8 სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, აქაც, უმეტეს შემთხვევაში (ეტლზე მიჯაჭვული პირების და ბერძნების მიმართ დისტანციების გარდა), გამოიყო 2 ქვესკალა მეტად და ნაკლებად სენსიტიური დისტანციებისათვის (თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში დებულებები მოძრაობს - ზოგ შემთხვევაში ერთ ქვესკალას მიეკუთვნება, ხოლო ზოგ შემთხვევაში - მეორეს). ცხრილ 2-ში მოცემულია დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებული ქვესკალების შედარება ორივე კვლევის მიხედვით:

ცხრილი 2. პირველი და მეორე კვლევის დებულებების გაერთიანება ქვესკალებად

სკალები	ნაკლებად სენსიტიური დისტანციები			მეტად სენსიტიური დისტანციები	
კვლევა 1	ტრანსპორტში მის გვერდით დაჯდებოდი	კვლევა 2		კვლევა 1	მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად
კვლევა 1	მივიღებდი ნაცნობად	კვლევა 2		კვლევა 1	მივიღებდი სამსახურში უფროსად
კვლევა 1	მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად	კვლევა 2		კვლევა 1	ვიქორწინებდი
კვლევა 1	მივიღებდი მეზობლად	კვლევა 2		_____	მივიღებდი მეგობრად
კვლევა 1	მივიღებდი მეგობრად	_____			

პირველი და მეორე კვლევის შედეგებს შორის რამდენიმე სხვაობაა:

1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე კვლევაში 7 დებულებაა 8-ის ნაცვლად, რადგან დებულება "დავქორწინდებოდი" ამოღებულია.
2. მეტად სენსიტიური დისტანციების ქვესკალა ორივე კვლევაში 3-3 დებულებისგან შედგება. მართალია, მეორე კვლევაში არ არის დებულება ქორწინების შესახებ, სამაგიეროდ, ამ სკალაზე მოხვდა დებულება მეგობრად მიღების შესახებ.
3. ნაკლებად სენსიტიური დისტანციების ქვესკალაში პირველი კვლევიდან გაერთიანდა 5 დებულება, ხოლო მეორე კვლევიდან – ოთხი, რადგან დებულება, *მივიღებდი მეგობრად*, მეტად სენსიტიურ დისტანციებში მოხვდა.

დამატებით, რადგან მეორე კვლევა 4 სხვადასხვა ჯგუფის და, შესაბამისად, 8 ქვეჯგუფის მიმართ დამოკიდებულებებს იკვლევდა, ამ ჯგუფებისადმი დამოკიდებულებაც ზოგ შემთხვევაში დაიშალა. კერძოდ, 4 ჯგუფიდან 2 ერთიანი სახით დარჩა – რელიგიური და სექსუალური უმცირესობები, ხოლო 2 დაიშალა, ანუ, ცალ-ცალკე ქვეჯგუფებად გამოიყო ორი ეთნიკური უმცირესობა – ბერძნები და სომხები და შშმ პირების ორი ჯგუფი – შიზოფრენიით დაავადებული და ეტლზე მიჯაჭვული ადამიანები.

საბოლოოდ გამოიყო შემდეგი 10 ქვესკალა:

1. რელიგიური უმცირესობები (მეტად სენსიტიური დისტანცია);
2. რელიგიური უმცირესობები (ნაკლებად სენსიტიური დისტანცია);
3. სექსუალური უმცირესობები (მეტად სენსიტიური დისტანცია);
4. სექსუალური უმცირესობები (ნაკლებად სენსიტიური დისტანცია);
5. სომხები (მეტად სენსიტიური დისტანცია); აქ ერთი სხვაობაა, დაემატა დებულება "მივიღებდი მეზობლად", რომელიც, ჩვეულებრივ, ნაკლებად სენსიტიური დისტანციების ქვესკალას ეკუთვნის;

6. სომეხები (ნაკლებად სენსიტიური წინარწმენა) – შესაბამისად, მოაკლდა დებულება "მივიღებდი მეზობლად";
7. ბერძნები;
8. ეტლზე მიჯაჭვული პირები;
ამ ორი ჯგუფის – ბერძნების და ეტლზე მიჯაჭვული პირებისადმი – დამოკიდებულება ერთ ფაქტორად გაერთიანდა, დებულებები არ დაიყო მეტად და ნაკლებად სენსიტიურ დისტანციებად;
9. შიზოფრენიით დაავადებულები (მეტად სენსიტიური წინარწმენა) – აქაც განსხვავებული შედეგი მივიღეთ: მოაკლდა დებულებები "ვიმეგობრებდი" და "მივიღებდი მეზობლად" და დარჩა მხოლოდ 2 დებულება.
10. შიზოფრენიით დაავადებულები (ნაკლებად სენსიტიური წინარწმენა) – შესაბამისად, დაემატა დებულებები "ვიმეგობრებდი" და "მივიღებდი მეზობლად."

სოციალური დისტანციის 10 ქვესკალის მორგების მაჩვენებლები შემდეგია: $\chi^2(1248, 528)=2288$; $p=0.000$; CFI = 0.95; TLI=0.94; RMSEA=0.04; SRMR=0.03. კრონბახის ალფები ყველა სკალისათვის 0.9-ზე მაღალია. ცხრილში 3 მოცემულია საშუალო ქულები ათი სკალის მიხედვით:

ცხრილი 3. წინარწმენის/სოციალური დისტანციის 10 ქვესკალის საშუალო მაჩვენებლები

საზომები	M	SD
1. შიზოფრენიით დაავადებული, მეტად სენსიტიური წინარწმენა	4.17	1.15
2. შიზოფრენიით დაავადებული, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა	2.50	1.33
3. სექსუალური უმცირესობა, მეტად სენსიტიური წინარწმენა	2.47	1.36
4. სექსუალური უმცირესობა, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა	1.72	1.12
5. რელიგიური უმცირესობა, მეტად სენსიტიური წინარწმენა	1.83	1.00
6. რელიგიური უმცირესობა, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა	1.30	0.62
7. სომეხი, მეტად სენსიტიური წინარწმენა	1.83	1.09
8. სომეხი, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა	1.40	0.89
9. ბერძენი	1.35	0.66
10. ეტლზე მიჯაჭვული	1.19	0.46

შედეგების განხილვა

წინამდებარე კვლევის მთავარი მიგნება ისაა, რომ ბოგარდუსის სოციალური დისტანციების სკალის მოდიფიცირებული, თანამედროვე ვერსიების გამოყენება მეტად საინტერესო და ღირებულ შედეგებს გვაძლევს, თუმცა, ამ სკალის ქულების გამოთვლას დიდი სიფრთხილით უნდა მოვუკიდოთ.

უპირველეს ყოვლისა, ორ სხვადასხვა შერჩევაზე ჩატარებულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ სოციალური დისტანციების სკალა ძალიან იშვიათად გვაძლევს ერთი საერთო ქულის გამოთვლის შესაძლებლობას. ჩვენი მონაცემების მიხედვით, ასეთი მხოლოდ ორი შემთხვევაა – დამოკიდებულება ბერძნების და ეტლზე მიჯაჭვული პირების

მიმართ. ორივე შემთხვევაში, დამოკიდებულების, ანუ, სოციალური დისტანციის მაჩვენებლები მცირეა (იხ. ცხრილი 3), კვლევის მონაწილეები ახლო "უშვებენ" ამ ჯგუფების წარმომადგენლებს და მზად არიან, ისინი ნებისმიერი სახით მიიღონ.

უმეტეს შემთხვევაში დისტანციები ორ ფაქტორად იყოფა. ესენია მეტად და ნაკლებად სენსიტიური დისტანციები. პირველი კვლევის გარე ჯგუფის – აბირიელების, და მეორე კვლევის 10 ჯგუფიდან 8-ის მიმართ სწორედ ასეთი დისტანციები გამოვლინდა. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ, ჩვეულებრივ, სტუდენტები ორგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ გარე ჯგუფის მიმართ. ზოგიერთი რამ გარე ჯგუფთან ურთიერთობისას მათთვის შედარებით დასაშვები და მისაღებია, ხოლო სხვა – ნაკლებად დასაშვები და მიუღებელი. ჩვეულებრივ, მისაღებია, რომ გარე ჯგუფის წარმომადგენელი მეზობლად ცხოვრობდეს, მაგრამ მიუღებელია მასთან ქორწინება, მისი უფროსად ყოლა სამსახურში ან – შვილის პედაგოგად. ეს სამი დისტანცია, პრაქტიკულად, ყოველდღიურ კონტაქტს გულისხმობს, ისევე, როგორც ამასთან დაკავშირებულ სხვა ასპექტებს. მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება მიუღებელი მორალური ნორმები ჩაუნერგოს მოსწავლეს, უფროსმა რაღაც მიუღებელი დაავალოს თანამშრომელს და ა. შ. როგორც მასწავლებლის, ისე უფროსის შემთხვევაში, დამატებით, არათანაბარი სტატუსის ფაქტორი თამაშობს როლს. სავარაუდოდ, მასწავლებელს და უფროსს მეტი ძალაუფლება აქვთ, რაც, შესაძლოა, ხელქვეითის სტატუსს დაემუქროს. ის ადამიანები კი, ვის სტატუსსაც ამგვარი საფრთხე ემუქრება, მეტ წინარწმენას ავლენენ გარე ჯგუფების მიმართ [35; 36; 1].

ქორწინება უაღრესად ახლო დისტანციაა, რაც, განსაკუთრებით კარგ დამოკიდებულებას საჭიროებს. ცეუნგ-ვონგის და ვერკაუტენის კვლევაში (2015) ეს დებულება ცალკე ფაქტორად გამოიყო, თუმცა, ავტორებმა სოციალური დისტანციის სულ სამდებულებიანი სკალა გამოიყენეს. დანარჩენი ორი დებულება – მეზობლად და კლასში გვერდზე მჯდომად მიღება – მეორე ქვესკალაა. ავტორებმა მათ, შესაბამისად, რომანტიული და საჯარო დისტანციები უწოდეს [15]. სხვა კვლევაში, იმავე ვერკაუტენმა, ჰინდრიკსთან და კოენდერსთან ერთად მსგავსი შედეგი მიიღო. მათ სოციალური დისტანციის ისევ სამკითხვიანი სკალა გამოიყენეს, თუმცა, დებულებები ნაწილობრივ შეცვალეს. ესენი იყო – უფროსი სამსახურში, მეზობელი და შვილის მეუღლე. შედეგად, ეს დებულებები გაერთიანდა ერთ ლატენტურ ფაქტორად, თუმცა, მაინც გამოიყო ცალკე სამი ფაქტორი: დამოკიდებულება უმცირესობის ჯგუფის, უმრავლესობის ჯგუფის და საკუთარი ჯგუფის მიმართ [13]. ეს შედეგი ჰგავს ჩვენი მეორე კვლევის შედეგს და აჩვენებს, რომ არა მხოლოდ დისტანციის ფორმას აქვს მნიშვნელობა, ვთქვათ, დაქორწინებას, დამეგობრებას და ა. შ., არამედ იმასაც, ვის მიმართ არის ეს დისტანციები – უმრავლესობის, უმცირესობის ან, როგორც ჩვენ კვლევაშია, ჰომოსექსუალების თუ რელიგიური უმცირესობების მიმართ.

მეორე კვლევამ, დამატებით, საყურადღებო ინფორმაცია მოგვაწოდა. აქ ორი ჯგუფის–სომხებისა და შიზოფრენიით დაავადებულების შემთხვევაში ცალკეული დებულებები ერთი ფაქტორიდან მეორისკენ მოძრაობდა. სომხებისადმი დამოკიდებულების შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ მათთან მეზობლობა, რომელიც, ჩვეულებრივ, ნაკლებად სენსიტიურ ფაქტორს მიეკუთვნება, მეტად სენსიტიური დისტანციების ფაქტორში მოხვდა. ზოგადად, დისტანციები სომხების მიმართ საკმაოდ ახლოა; ასევე, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებია სხვაობა მეტად და ნაკლებად სენსიტიურ დისტანციებს შორის, ისინი, პრაქტიკულად, ერთმანეთის გაგრძელებად გვევლინება (იხ. ცხრილი 3) და შესაძლებელია, ამით აიხსნას დებულების

"მივიღებდი მეზობლად" გადასვლა მეტად სენსიტიურ დისტანციაში. შიზოფრენიით დაავადებულებისადმი დამოკიდებულება ყველა სხვა ჯგუფის დამოკიდებულებასთან შედარებით უარესია. ნაკლებად სენსიტიური დისტანცია კი აქ უფრო მაღალია, ვიდრე მეტად სენსიტიური დისტანცია სხვა ჯგუფებთან. მსგავსი შედეგი მივიღეთ ახლახან ჩატარებულ კვლევაში, სადაც მოსახლეობის დამოკიდებულებები ვიკვლიეთ სხვა საზომების გამოყენებით სხვადასხვა შშმ ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ: შიზოფრენიით დაავადებულები ყველაზე ნაკლებად მისაღები ჯგუფი აღმოჩნდა [37].

წინამდებარე კვლევის სოციალური დისტანციის საშუალო მაჩვენებლების ანალიზი მიუთითებს, რომ ორი დებულება – "მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად" და "მივიღებდი სამსახურში უფროსად" სენსიტიური და ძნელად მისაღები დისტანციებია როგორც პირველი, ისე მეორე კვლევის მონაწილეებისათვის. ფაქტორული ანალიზის ჩატარებისას, ეს ორი დებულება ყველა შემთხვევაში (გარდა ზემოაღნიშნული გამონაკლისი ჯგუფებისა, სადაც არ გამოიყო ორი ფაქტორი) მყარად რჩება მეტად სენსიტიურ დებულებებად, ხოლო, მეზობლობა და მეგობრობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ჯგუფთან დაკავშირებით გვინტერესებს ეს კონკრეტული დისტანციები. ის, რომ დებულება "მივიღებდი მეგობრად" პირველ კვლევაში ნაკლებად სენსიტიურ დებულებებს მიეკუთვნა, ხოლო მეორე კვლევაში, ძირითადად, მეტად სენსიტიურ დებულებებთან ერთად განთავსდა, შეიძლება აიხსნას იმით, რომ პირველ კვლევაში არსებობს დამატებით ერთი დებულება "დავქორწინდებოდი", რომელიც მეორე კვლევაში სექსუალური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებების კვლევის გამო შეუსაბამოდ მივიჩნიეთ და ამოვიღეთ. რამდენადაც ქორწინება ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური თემაა, შეიძლება პირველ კვლევაში ამან განაპირობა "მივიღებდი მეგობრად" დებულების უფრო ნაკლებად სენსიტიურ დებულებებთან მოხვედრა, ხოლო, რადგან მეორე კვლევაში არ არსებობდა ქორწინების შესახებ დებულება, მეგობრობა მეტად სენსიტიურ დებულებებს მიეკუთვნა.

დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილმა ქვესკალებმა მიგვითითა, რომ პირველ კვლევაში სოციალური დისტანციის ორი ქულა უნდა გამოგვეთვალა, ხოლო, მეორეში – ათი. სამომავლოდ, ყოველი შემდეგი კვლევის ჩატარებისას, ავტორებმა სკალას დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი უნდა ჩაუტარონ და მისი შედეგების მიხედვით გაარკვიონ, რამდენი ქულა უნდა გამოთვალონ სოციალური დისტანციების სკალისათვის. ჩვენი მონაცემების როგორც ფაქტორული, ისე აღწერითი ანალიზი გვაჩვენებს, რომ სოციალური დისტანციების სკალა, სულ მცირე, ქართველი სტუდენტებისათვის, წინარწმენის ადეკვატური და დახვეწილი საზომია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არონსონი, ე. წინასწარგანწყობა. წიგნში: სოციალური ცხოველი. ნ. ჯავახიშვილი (რედ.). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014.
2. Allport, G. W. The nature of prejudice. Cambridge: Addison-Wesley, 1954.
3. Sherif, M. 1956. Experiments in Group Conflict. Scientific American, 1956, 195, 54–58.

4. McFarland, S. Authoritarianism, Social Dominance, and Other Roots of Generalized Prejudice. *Political Psychology*, 2010, 31, 3, 453–477.
5. Dovidio J. F. (2001). On the nature of contemporary prejudice: The Third Wave. *Journal of Social Issues*, 2001, 57, 4, 829–849
6. Samuel, H. John Galliano fired by Christian Dior. *Telegraph*, 2011.
<http://fashion.telegraph.co.uk/news-features/TMG8355536/John-Galliano-fired-by-Christian-Dior.html>
7. Tajfel, H., & Turner, J. C. An integrative theory of intergroup conflict. In: *The Social Psychology of intergroup relations*. W. G. Austin, & S. Worchel (eds.). Monterey, CA: Brooks/Cole, 1979, 33–37.
8. Spears, R. Group Identities: The Social Identity Perspective. In: *Handbook of Identity Theory and Research*. Schwartz et al (eds.). Springer Science+Business Media, 2011, 201–224.
9. Stephen R, Spears, R., & Haslam, A. The Social Identity Approach in Social Psychology. In: *Sage Identities Handbook*. M. S. Wetherell & C. T. Mohanty (eds.). London: Sage, 2010.
10. უზნაძე, დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1940.
11. გერიგი, რ., & ზიმბარდო, ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
12. Shook, N. J., & Fazio, R. H. Interracial Roommate Relationships: An Experimental Field Test of the Contact Hypothesis. *Psychological Science*, 2008, 19, 7, 717–723.
13. Hindriks, P., Verkuyten, M., & Coenders, M. Interminority attitudes: The roles of ethnic and national identification, contact, and multiculturalism. *Social Psychology Quarterly*, 2014, 1, 54–74.
14. Stefaniak, A., & Bilewicz, M. Contact with a multicultural past: A prejudice-reducing intervention. *International Journal of Intercultural Relations*, 2016, 50, 60–65.
15. Tseung-Wong, C. N., & Verkuyten, M. “I’d rather we be neighbours than lovers”: The two sidedness of multiculturalism. *Group Processes & Intergroup Relations*, 2015, 18, 4, 437–453.
16. Verkuyten, M., & Martinovic, B. Majority member’s recognition and protest against discrimination of immigrants: the role of power threat, deprovincialization and common national identity. *Social Justice Research*, 2015, 28:257–273.
17. Damburn, M. L. & Guimond, S. Implicit and explicit measures of prejudice and stereotyping: Do they assess the same underlying knowledge structure? *European Journal of Social Psychology*, 2004, 34, 663–676.
18. Brauer, M., Wasel, W., & Niedenthal, P. Implicit and explicit components of prejudice. *Review of General Psychology*, 2000, 4, 1, 79–101.
19. ხარშილაძე, მ. სოციალური განწყობის და სოციალური დისტანციის ხასიათი ეროვნული უმცირესობის მიმართ. კრებულში: ფსიქოლოგია. დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, 2007, XX, 173–184.
20. ჯავახიშვილი, ნ., სხირტლაძე, ნ., ბუწაშვილი, ნ., ლორთქიფანიძე, მ., მაყაშვილი, ა., ვარდანაშვილი, ი., შეყრილაძე, ი., კვლევის ინსტრუმენტების ვალიდაცია. დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 63–84.

21. ვარდანაშვილი, ი., ჯავახიშვილი, ნ., რელიგიურობა და წინარწმენები. დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 85-104.
22. Этнические и религиозные стереотипы студентов в Грузии. Социологические Исследования, РАН, Москва, 2005, 1, 107-112.
23. Javakhishvili, N. Japanese students feel closer to west europeans and americans, than to asians (Social distances of japanese students to ethnic and religious groups). *Journal of Islamic Studies*, 2011, 43-60.
24. Javakhishvili, N., Schneider, J., Makashvili, A., Kochlashvili N., Ethnic Social Distance: A comparison of Georgian, German and Japanese Students. *Journal of Social Management*, 2012, 2, 54-64.
25. Javakhishvili, N., Kochlashvili, N., Makashvili., Schneider, J., Measuring ethnic attitudes: tolerance and social distance from cross-cultural perspective, In: *An Anthology of social themes*, G. T. Papanikos (ed.). Athens: ATINER, 2016.
26. Snellman, A., & Ekehammar, B. Ethnic hierarchies, ethnic prejudice, and social dominance orientation. *Journal of Community & Applied Social Psychology*, 2005, 15, 83-94
27. Adewuya, A., & Makanjuola, R. Social distance towards people with mental illness amongst Nigerian university students. *Soc Psychiatry Psychiatric Epidemiology*, 2005, 40, 11, 865-8.
28. Binder, J., Zagefka, H., Brown, R., Funke, F., Kessler, T., Mummendey, A., & Leyens, J. P. Does contact reduce prejudice or does prejudice reduce contact? A longitudinal test of the contact hypothesis among majority and minority groups in three european countries. *Journal of Personality and Social Psychology*, 2009, 96, 4, 843-856.
29. Henry, P. J. College sophomores in the laboratory redux: influences of a narrow data base on social psychology's view of the nature of prejudice. *Psychological Inquiry*, 2008, 19, 49-71.
30. Martskvishvili, K., Arutinov, L., & Mestvirishvili, M. A Psychometric investigation of the Georgian version of the Trait Emotional Intelligence Questionnaire. *European Journal of Psychological Assessment*, 2013, 84-88.
31. ხეზუაშვილი, ლ. პოსტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები. ქესე: განათლების მეცნიერებანი, 2015, 4, 36. (gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2616.pdf&t=1).
32. ხეზუაშვილი, ლ. ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის საკვლევი კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები. ქესე: განათლების მეცნიერებანი, 2017, 2, 44, 19-34. (gesj.internetacademy.org.ge/download.php?id=2958.pdf&t=1).
33. Neuliep, J. W., & McCroskey, J. C. Ethnocentrism Scale. Measurement instrument database for the social science, 2013. (www.midss.ie)
34. Muthén, L. K., & Muthén, B. O. Mplus user's guide. Sixth Edition. Los Angeles: Muthén & Muthén, 2010.
35. Fein, S., & Spencer, S. Prejudice as self-image maintenance: Affirming the self through derogating others. *Journal of Personality and Social Psychology*, 1997, 73, 31-44.

36. Stephan, W. G., Ybarra, O., & Morrison. K. R. (2009). Intergroup Threat Theory. In: Handbook of prejudice, stereotyping, and discrimination. T. D. Nelson (ed.). New York: Psychology Press, 2009, 44-60.
37. Javakhishvili, N., Skhirtladze, N., Vardanashvili, I., & Butsashvili, N. Baseline Study of Attitudes and Knowledge of the Children with Disability Issue. Research Report. D. Uznadze Institute of Psychology, Save the Children, Tbilisi, 2017, 1-24.

სტატიაში გამოყენებულია სამი ცხრილი.

Article received 2017-08-04